ხაშურის მოამბე

№16 (438) 22 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა წარმოადგინეს პრეზენტაცია GIZ-ის პროექტის „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე“ მხარდაჭერით მიღწეული შედეგები.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და სტუმრებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, მუნიციპალიტეტში, მონაწილეობითი და გენდერულად მგრძნობიარე ფინანსების მართვასთან დაკავშირებით.

შეხვედრის ბოლოს, მხარეები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ამერიკის ელჩი - ხაშურში

ამერიკის ელჩმა ხაშურში ამერიკული კუთხე დაათვალიერა. რობინ დანიგანი ახალგაზრდებს შეხვდა, რომელთა შორის ინგლისური ენის კლუბის წევრები,ამერიკული კუთხის მოხალისეები და ექსესის პროგრამის მონაწილეები იყვნენ. მათ ელჩს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს. ამერიკული კუთხე ხაშურში 20 წელია ფუქციონირებს. ამ ხნის მანძილზე უამრავი საინტერესო პროექტი განახორციელა.

ქვიშხეთში შიდა გზების მოწყობა მიმდინარეობს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე ხაშურის მუმინიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. ამჟამად სოფელის სამ უბანში აქტიური სამშენებლო პროცესი მიმდინარეობს. ჯამში, დაგეგმილია 3 კმ-მდე გზის საფარისა და სანიაღვრე სისიტემის მოწყობა.

სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი.

,,ქვიშხეთი საკურორტო ზონაა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრვებისთვის, ისე დამსვენებლებისთვის. პროექტის დასრულების შემდეგ, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა იქნება გამართული, კეთილმოწყობილი და უსაფრთხო.“ - აღნიშნა რწმუნებულმა.

საგზაო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება რაზეც, ჯამში, 2 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

ლევან ხარაბაძემ რეგიონის რესურსცენტრების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე რეგიონის საგნმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს შეხვდა. რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა რეგიონის რწმუნებულს მათი სამუშაო სპეციფიკის, საგანმანათლებლო მიმართულებით რეგიონში დაგეგმილი ღონისძიებებისა და არსებული გამოწვევების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებზე. რეგიონის რწმუნებულის თქმით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის თითოეული სკოლას ჰქონდეს შესაბამისი პირობები, რათა მოსწავლეებმა უსაფრთხო და სრულფასოვან გარემოში შეძლონ განათლების მიღება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად შიდა ქართლის რეგიონში 19 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

შეხვედრას რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და ადმინისტრაციის აპარატის ხელმძღვანელი ქეთევან ციმაკურიძე დაესწრნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 21

2024 წლის 04 აპრილი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა მონაწილეობით გეგმავს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც პრიორიტეტს წარმოადგენს კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, შესაბამისად ხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში პროექტის დაფინანსებისათვის განსაზღვრული თანხის განაწილება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ემუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N15 დადგენილების, ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N28 დადგენილებისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 აპრილის N№84.842209619 ბრძანებით შექმნილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მონაწილეობით ბიუჯეტის საკოორდინაციო საბჭოს 2024 წლის 15 მარტის რეკომენდაციის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის პროექტების დაფინანსებისათვის განისაზღვრული თანხის, 300 000 ლარის გადანაწილება განხორციელდეს ტერიტორიული (განსაზღვრული ზონების მიხედვით) ფორმით, კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის ადმინისტრაციული ერთეული, ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი სარმანიშვილისკარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი სათივე.

თითოეული ადმინისტრაციული ერთეულისათვის საჭირო სავარაუდო თანხის მინიმალური ოდენობა 2024 წლისთვის განისაზღვროს 100 000 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, 2024 წლისთვის შესაძლებელია დაფინანსდეს თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში საპროექტო წინადადება, რომლის მინიმალური ღირებულება იქნება 50 000 ლარი, ხოლო მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ადმინისტრაციული ერთეულისათვის გამოყოფილ თანხას.

დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდის მიხედვით ასახოს ასიგნება.

ცნობად იქნას მიღებული, რომ 2023 წლის 06 აპრილის N13 განკარგულებით გათვალისწინებული ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის საჭირო თანხები გადმოტანილ იქნა 2024 წლის ბიუჯეტში შესაბამის ტერეიტორიულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად და განისაზღვრა 307 831,86 ლარის ოდენობით, მათ შორის, სოფელი ცედანი 125 528 ლარი, სოფელი თაგვეთი- 87 056,86 ლარი, სოფელი წაღვლი -95 247 ლარი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ. გვერდზე www.khashuri.org.ge.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. N15)

ნინო ლიპარტელიანი ,

საკრებულოს თავმჯდომარე

იმსჯელეს გენდერული სტერეოტიპების დაძლევის გზებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროს ზვიად გოგუაძესთან და ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელ გიორგი მაჭარაშვილთან ერთად, ოსიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და დირექტორის მოადგილეს თამარ ახალკაცს უმასპინძლეს.

შეხვედრა გენდერულ საკითხებზე საუბარს დაეთმო. მოსწავლეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია თემებზე: გენდერული სტერეოტიპები, ძალადობის ფორმები, დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე.

ხაზი გაესვა სამოქალაქო განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში და აღინიშნა, რომ ცოდნით და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით შესაძლებელია გენდერული სტერეოტიპების დაძლევა. საკრებულო, რესურს ცენტრი და ახალგაზრდული სივრცე მოსწავლეებთან თანამშრომლობისთვის მზად არიან.

ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობის მეორე ეტაპი დასასრულს უახლოვდება

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სულ მალე დასრულდება სამუშაოების მეორე ეტაპი და დაიწყება მესამე ეტაპი.

დღეს სამუშაობის მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

„სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, მოეწყო გარე განათებები,

ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი

სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები. მეორე ეტაპის მშენებლობის ფარგლებში მიმდინარეობს ამფითეატრისა და სკეიტბორდის მოედნის

მშენებლობა, შესასვლელი ტერიტორია და ბილიკებს შორის არსებული სივრცეები გავალამაზეთ დოლომიტის დეკორატიული თეთრი ქვებით, პარკის შესასვლელში

მოეწყო სველი წერტილი,რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. მესამე ეტაპის ფარგლებში, მოვაწყობთ კალათბურთის, ჩოგბურთის და ფეხბურთის მოედნებს, დამონტაჟდება გარე გამოყენების ტრენაჟორები და რაც მთავარია, იქნება სივრცე ხელმოწერის ცერემონიებისთვის. დაირგვება უამრავი მწვანე ნარგავი, რაც

მეტ ხიბლს შემატებს აქაურობას“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს. პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ 803 897 ლარი შეადგინა, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოების ღირებულება 1 158 885 ლარია.

სოფელ ტეზერში, მინისტადიონისა და სკვერის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება

„პროექტს, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვახორციელებთ, სკვერის მშენებლობა, ადგილობრივ მცხოვრებლებს გართობისა და დასვენების საშუალებას მისცემს, აქაურობა განსაკუთრებით მოეწონებათ პატარებს, რადგან აქ განთავსდა შესაბამისი სტანდარტებით მოწყობილი, საბავშვო ატრაქციონები. დასასვენებელ სივრცეში დამონტაჟდა სკამები, სანაგვე urნები, გაკეთდა ფანჩატური, გარე განათება, ტერიტორია მოპირკეთდება ფილებით, იქნება მწვანე სივრცეები. ვზრუნავთ ჯანსაღი წესის ხელშეწყობაზეც, მინი სტადიონი და გარე გამოყენების ტრენაჟორები, სწორედ, ამ მიზანს მოემსახურება“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე.

სოფელ ტეზერში მინი სტადიონისა და სკვერის მშენებლობის სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ღირებულება კი 328 500 ლარს შეადგენს.

ძაღლების აპოლოგია

გაზაფხულდა, მზე ერეკება ზამთარს, ისიც მოფამფალებული, ნახევრად დამდნარი, დასუსტებული ფეხით გარბის. მას კი ნელ-ნელა, ფეხდაფეხ მოსდევს თბილი დღეები, გაზაფხული შეუბრალებლად ექცევა მომაკვდავ ზამთარს, ისე, როგორც ზამთარი ექცევა შემოდგომაზე თბილ დღეებს.

ზამთარი ხომ სიცივის მომტანია, გვცივა ჩვენ და ცივათ ძაღლებსაც. დათბა და შვებით ამოისუნთქეს, საცოდავად გამოეფინენ ქუჩებში, გზებზე. ისინი ხომ თავიანთი ცხოვრების გზაზე უამრავ უსამართლობას, უსიამოვნებას, შეურაცხყოფას და ტკივილს განიცდიან ბოროტი ადამიანებისაგან. არადა, დაკვირვებიხართ, როგორი მოფერება იციან? სასიამოვნოდ აგილოკავენ თითებს, უნაზესი, ალერსიანი და უმანკო თვალებით გიცქერიან. თუ კარგად დააკვირდებით და თვალებში ჩახედავთ, დაინახავთ რა ერთგულებით („ძაღლსავითა მე ერთგული შენი ვარ“), სიყვარულით და მოკრძალებით მოგჩერებიან. ეს არ არის ბრიყვული ცქერა. თითქოს მოსიყვარულე ადამიანი გიყურებს.

მგლების ერთმა ნაწილმა, თითქოს, რაღაც ცოდვაც ჩაიდინა და ღმერთმა დასაჯა ისინი, ძაღლებად აქცია და ადამიანის ერთგულება მიუსაჯა. უვარგისი და ძუნწი პატრონი რომ ჰყავდათ, მათაც უნდა იცავდნენ, შიმშილით სული რომ ძვრებოდეთ, ადამიანს არ უნდა უღალატონ. მათი სამსახურისთვის არიან გაჩენილი.

ადამიანები ძაღლებზე ზემოქმედებენ. გამოჰყავთ ათასობით ჯიში. სამეურნეო, სამხედრო, სპორტული, სამონადირეო დანიშნულებისათვის. გამოიყენება, აგრეთვე სამწყემსოდ, მარხილში შესაბმელად. მათ შორის გაჩნდნენ ელიტური ძაღლებიც (სემბერნარი, დობერმან-პინჩერი, სეტერი, პოინტერი), საცირკო სანახაობისათვის ყველა ჯიშის ძაღლს იყენებენ. ისინი, ხომ ადვილად იწვრთნებიან.

ჩვენ უბანში ორი ქალბატონი ცხოვრობს ზაფხულობით. ერთს ლამაზი გარეგნობის სპანიელი ჰყავს. დაკიდებულყურებიანი, გძელი, რბილი ბეწვებით. საუკეთესო მონადირე ყოფილა ფრინველზე, მაგრამ ლამაზმა გარეგნობამ ოთახის ძაღლად აქცია. ინგლისელებმა მისგან მრავალი ჯიშის დეკორატიული ძაღლი გამოიყვანესო (მითხრა ძაღლის პატრონმა), მეორე მდიდარ ქალბატონს პუდელი გულში ჩაუხუტებია - უზრდელი, გრძელბეწვება, თავხედი, შავი კრიალა ჯიპიდან რომ იცქირება და ოქროსბეჭდიან თითებს უკოცნის პატრონს. ალბათ ასეთი ქალბატონები დაინახა რომის იმპერატორმა, ავგუსტუსმა, პროვინციის ერთ ქალაქში ჩამოსულმა, როდესაც იკითხა: - ამ ქალაქში ბავშვები არ იბადებიანო? - როგორ არაო - უპასუხეს. - ქალმა შვილი უნდა ჩაიხუტოს გულშიო. (პლუტარქე მოგვითხრობს).

პრივილეგირებული ძაღლები მედიდურად დააბიჯებდნენ. ძაღლური ბუნება დამახინჯებული აქვთ, ზედმეტმა ქებამ, ჯილდოებმა ზოგიერთი ადამიანივით გააფუჭა ისინი. სხედან ლოჟებში, მანქანებით დადიან. ჩინ-მედლებიან გაბღენძილ კაცს ემსგავსებიან. ამპარტავნულად გიცქერიან. აი, მაგალითად თავგასიებული სემბერნარი. ერთი ქალბატონი ასეირნებს ხოლმე, ალპებში, თოვლში დაკარგული ადამიანების საძებნელად გამოუყვანიათ. ინგლისელებმა კი დეკორატიულ ძაღლად აქციეს, ძაღლის იღბალი აქვსო“, იტყვიან. ალბათ, ელიტარული ძაღლების იღბალზეა საუბარი. ჩვეულებრივი ძაღლები სამეგობროდ შემოგციცინებენ. განსაკუთრებით საცოდავად გიცქერიან უპატრონო ძაღლები. ცხოვრების სიღრმეში ჩაიხედეს და არსებობისათვის იბრძვიან. არ უნდა იყოს მათ მიმართ ადამიანი მკაცრი და გულქვა. არ უნდა დაივიწყონ მათი ბედი, ლუკმა არ უნდა დაიშურონ.

რკინიგზის სადგურთან, სანოტაროს გვერდით, პატარა მარკეტია, ძაღლების საკვებისათვის. აქვე ორი უპატრონო ძაღლი ცხოვრობს: სამარშუტოს მძღოლების და მგზავრების იმედად. ამას წინათ, ერთი გოგონა გამოვიდა მარკეტიდან, ცელოფანის პარკით. ძაღლებმა მაშინვე მიირბინეს მასთან და მიელაქუცნენ. გოგონამ პარკიდან ძაღლების საკვები ამოიღო და ორივე ძაღლს ცალ-ცალკე დაუყარა. მერე სიამოვნებით უცქეროდა, როგორ ახრაშუნებდნენ საჭმელს ზამთარგამოვლილი, გაქუცული ძაღლები. ზოგჯერ გოგონას შეხედავდნენ, თითქოს მადლობას იხდიანო. ეს სიკეთე არასოდეს დაავიწყდებათ. მერე რა მეხსიერება აქვთ! ოცი წლის წინ წასული, შინდაბრუნებული ოდისევსი, ვერც ცოლმა, ვერც შვილმა, მხოლოდ საყვარელმა ძაღლმა არგუხმა იცნო. კუდი გაიქიცინა და სიკვდილიც ეწვია. ძაღლი თავის ბრმა პატრონს მრავალი წლის განმავლობაში დაატარებდა, მერე ბრმა პატრონის საფლავზე დაწვა, კეთილი ადამიანების მიტანილ საჭმელს პირი არ დააკარა და მეხუთე დღეს, მზის ამოსვლისას, მოკვდა (შიმშილით მოიკლა თავი).

ასეთი ერთგული ძაღლების ვალში, არც ადამიანები რჩებიან: უძღვნიან ლექსებს, წიგნებს, იღებენ ფილმებს მათ ცხოვრებაზე. ვის არ ახსოვს ავსტრალიური მრავალსერიანი ფილმი „ლესი“. რუსებმა ძაღლის ერთგულებაზე შესანიშნავი ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი“ გადაიღეს ტროპოლსკის მოთხრობის მიხედვით. მთავარ როლში ტიხონოვი. ერთგულ ძარლს ძეგლი დაუდგეს დანიაში, ამერიკაში, იაპონიაში. კოსმოსში გაუშვეს. მადლიერი ძაღლის პატრონი უფრო შორს წავიდა. გერმანელმა გრაფინიამ მთელი თავისი ქონება ძაღლს უანდერძა, სულ მცირე 300 მილიონი დოლარი (ეს უკვე მეტისმეტია).

ძაღლებს უყვართ ერთმანეთი, თუმცა ზოგჯერ ჩხუბობენ კიდევაც. ნათქვამია „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო“. ადამიანები დახევენ კი არა ერთმანეთს ტყავს გააძრობენ (ზოგიერთ ადამიანზე მოგახსენებთ).

ზოგჯერ ბავშვს მოფერებით, ეტყვიან, „შემამაძაღლოვო“, გაბრაზებითაც ამბობენ. გინებაც უკავშირდება ძაღლს „შეშობელძაღლო“, ე. ი. შენი მშობელი ძაღლიაო. ან „ქოფაკს“ უწოდებენ ავ ადამიანს. არცერთი არ არის მართალი, ძაღლს თუ კაცს შეადარებ, უნდა უხაროდეს, რადგანაც ძაღლებმა ზოგიერთ ადამიანზე უკეთ იციან სიყვარულიც, ერთგულებაც და მეგობრობაც. რაც არ უნდა გაუბრაზდეთ, თუნდაც ცემო, არ მიგატოვებს, გაპატიებს. რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ კბენა იციან. ადამიანებმა, რომ კბენა იციან ჩემს მტერს. კბენა კი არა, ერთმანეთს მუსრს ავლებენ...

კინოლოგი რომ ვიყო უკეთესად ჩავწვდებოდით ძაღლის ხასიათს.

„გთხოვ ნუ იქნები, მკაცრი და გულქვა,
არ დაივიწყო ძაღლის ყისმათი,
არ დაინანო ძაღლისთვის ლუკმა,
და არც გალახო ღვთის გულისათვის.“

შოთა ნიშნიანიძე

კლიმენტი სუთიაშვილი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4 ,5,6,7,8,9,10,11,12,15)

თელეები – ადგ., სათესი დიდ ბეკამში.

თელეების ნაკვეთები – ადგ., სახნავი დიდ ბეკამში.

თომა კიკაძის მიწა - ადგ; იხ. ნახატრის მიწა.

კაკლების ნაკვეთი - ადგ., სახნავი დიდ ბეკამში

კვართისასა სერი - ადგ., სერი პატარა ბეკამში ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

კიკაძეების ახო – ადგ., ნაწისქვილარი დიდ ბეკამში.

კიკაძეების უბანი – ადგ; უბანი სადაც კიკაძეები ცხოვრობენ.

კოდის წყალი – ადგ; წყარო

კოჩაძის ვენახი - ადგ; დაფიქსირებულია მათიაშვილ პაპას მიერ სვიმონ აბაშიძისათვის 1785 წლის 27 მარტს მიცემული ვენახის საბუთში ერთ-ერთ საზღვრად).

კუდატყე - ადგ., ტყე დიდ ბეკამში აღმოსავლეთის მხარეს.

ლალუაშვილების უბანი - უბანი დიდ ბეკამში

ლაშე მიწები - ადგ., სახნავი დიდ ბეკამში

ლაშიმიწები - ადგ., სახნავი პატარა ბეკამში

ლოტუასშვილი გრიქოლას მიწა - ადგ; იხ. მეგოდრიული

მათიაშვილების უბანი - უბანი დიდ ბეკამში

მათიაშვილების წყარო - წყარო პატარა ბეკამში

მათიენთ ტყე - ადგ; ტყე. დაფიქსირებულია 1785 წლის 16 მარტის საბუთში. აბაშიძე ქაიხოსროსთვის ლეკვია ტაბატაძის მიერ გაურდელაში მიცემული ,,ჩხეიძის კაცი[ს] ივანე ტუკაძისეული ხუთი დღის მიწის“ საძღვარი ბოლოში გრძელდება ,,მათიენთ ტყის გზამდინ“.

მათიასშვილისეული ვენახი - ადგ; 1785 წლის 14 მარტს სარქისასშვილმა სარქისამ მიჰყიდა ქაიხოსრო აბაშიძეს: ნასყიდულობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგართვით თქვენ, ბატონს აბაშიძეს ქაიხოსროს, ძმასა თქვენსა ევგენს, დავითს, შვილთა თქვენთა დავითს, პატას, სვიმონს, შვილთა მამავალთა სახლისა თქვენისასა, ჩვენ, სურამელმა სარქისასშვილმა სარქისამა, ძმამა ჩემა იოვანემა, ბიძასშვილმა ჩემა გაბრიელამა, შვილმა ჩემა ფარსადანამა, არუთენამა და გრიქოლამა, შვილმა და მამავალმა სახლისა ჩემისამა. ასე და ამა პირსა ზედა. მას ჟამს ოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ნებაყოფლობით ბეკამს, ჩვენგანაც ნასყიდი მათიასშვილისეული ვენახი. იქით ჩემის ბეჟან მათიასშვილის ვენახის მიდგმამდინ, მეორე გვერდი თქვენი კაცი ლეკვია ტაბატაძის ვენახის მიდგმამდინ, ბოლოს რაც ბეჟანის იფნები გამოიტანს იქამდინ“. კაკონ[ა]ვილმა გასპარამ გორელ ზურაბასშვილ გრიქოლას მიჰყიდა ბეკამში თავისი ,,...ნასყიდი ვენახი მათიასშვილის კაციასეული“ .

მამიაურები - ადგ., ვენახი დიდ ბეკამში სამხრეთით. ფიქსირდება XVIII ს-ის 50 – იანი წლების საბუთში. მასში ნათქვამია: ,,...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ჩხეიძემ ქაიხოსრომ, შვილმა ჩემა გიორგიმ და სეხნიამ შენ, ხარატიშვილს თ[ა]მ[ა]ზას, ძმას შენს დათუნს, შენს შვილს, თქვენს სახლის მომავალს. თქვენ მიწ[ა] ქონდათ მამ[ია]ურში. მე ახლა... ხელახებით მამიცია სამ დღის მიწა, ქვეით ღ[ამ]ბ[ა]შიძის მიდგმამდი, იქით ნოზაძის მიდგმამდი, აქეთ შარამდი“

. 1754 წლის თებერვლის გასულით დათარიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჩხეიძემ დავით... თქვენ ბატონის კარის წინამძღვარს გაბადიძეს იოსებს... დაგვეჭირა და ჩვენის ნება-წადილით მოგყიდეთ... ბეკამს... ბლიაძე გოდერძი და შვილი მისი ივანე... და კიდევამას გარდა იქავ ბეკამს ათი დღის საზომი მიწა ბარბახაშვილის მიწა და მამაურში მიწა შეგითაოთ და იქავ ბებიაშვილის ვენახი ნიკოლოზას მიდგმამდინ გზითა და ქვეით მამაურის მიდგმამდინ“.

მაჩხაშვილების უბანი - უბანი დიდ ბეკამში

მეგოდრიული - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1785 წლის 16 მარტის საბუთში. აქ ლეკვია ტაბატაძემ ქაიხოსრო აბაშიძეს ორი დღის მიწა: ,,ამას გარდა კიდევ მოგყიდე შოლას გაღმა მეგოდრიულში ბეჟოლია მათიასშვილისა და იესესეული ორი დღის მიწა, თავს ალეწიძის სართუმელის მიწის მიდგმამდინ, ბოლოს ლოტუასშვილი გრიქოლას მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ბარბაქაძის მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი პეტროზაულის მიწის მიდგმამდინ“.

მიქელას ახო - ადგ., სათესი, ახო დიდ ბაკამში.

მუხნარი – ადგ., ტყე. იგივეა რაც კუდატყე.

ანანაური – ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია XVIII ს - ის II ნახევრის საბუთში: ,,...ნასყიდობის წიგნი, პირი და სიგელი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, მათიასაშვილმა მამასახლისმა ბერამა... შენ, ტუკაძესა ივანასა და მამუკასა, შვილსა შენსა თამაზასა... დამეჭირა და მოგყიდე ჩემგანაც ალალი ნასყიდი მიწა ნანაურში. იქით ბეჟანის ვენახისა მიდგმამდი, აქეთ [მამი]აურის მიწის მიდგმამდი, თავს ტუკაძეების სამამულოს მიდგმამდი, ბოლოსა წყარომდი“.

ნატბევი – ადგილი დიდ ბეკამში.

ნაცვლისშვილის მიწა - ადგ; იხ. პეტროზაული.

ნახვეტრები – ადგ., სათესი დიდ ბეკამში

ნახიდარი - ადგ., ნახიდარი დიდ ბეკამში

ოროკოები – ადგ., მინდორი, საძოვარი პატარა ბეკამში. ოროკოები უნდა იყოს დაფიქსირებული 1785 წლის 16 მარტის საბუთში. კერძოდ, აბაშიძე ქაიხოსროსთვის ლეკვია ტაბატაძის მიერ მიყიდული ვენახის ბოლოს საზღვარი გრძელდება ორკამდინ.

აგრეთვე, ქაიხოსრო აბაშიძისათვის ლეკვია ტაბატაძის მიერ მიყიდული ,,სასახლე თავისის სანაპიროთი და გამართულობითა“ გრძელდება ორკომდინ (იქვე). 1785 წლის 27 მარტის საბუთში ვკითხულობთ: ,,... ყოვლისა კაცის მოუდევარი ნასყიდულობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით თქვენ, ბატონს, აბაშიძეს სვიმონს..., ჩვენ მათიასშვილმა პაპამა, ძმამა ჩემა ბერმა, შვილმა ჩემა ნინიამა და სვიმონმა... მას ჟამს ოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ვენახი ბეკამს გაღმა. თავს ჯაბადარისშვილის ვენახის ორკომდინ, ბოლოს ბარბაქაძის მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი კიდევ ბარბაქაძის ვენახის მიდგმამდინ“.

1785 წლის 27 მარტითვე დათარიღებულ საბუთში კვლავ გვხვდება ორკო: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით თქვენ, ბატონს, აბაშიძეს სვიმონს... ჩვენ კოჩაძე ივანამა... დაგვეჭირა და მოგყიდეთ ბეკამს გაღმა ვენახი ჩვენგანაც ნასყიდი ბაკასა და ნიკოლოზ მათიასშვილისეული, თავს ჯაბადრისშვილი არდაზიანის ვენახის მიდგმამდინ, ბოლოს ისევ მათიასშვილის ბაკასა და ნიკოლოზის მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ალეწიძის ვენახის მიდგმამდინ, მეორე გვერდი მათიასშვილის ვენახის მიდგმამდინ. კიდევ ამას გარდა, მოგყიდეთ ჩვენგანაც ნასყიდი ბეკამს გაღმა ვენახი ზაზა მათიასშვილისეული, თავს ჯაბადრისშვილის ვენახის ორკომდინ, ბოლოს... ბარბაქაძის მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ისევ ზაზა მათიასშვილის ვენახის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ორკომდინ“.

1834 წლის 4 ოფტომბერს გიორგი ჯობაძემ თავის ბიძას, - ადამა ჯობაძეს, - მიჰყიდა მიწა ორკოზე: ,,... სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, გიორგი ჯობაძემა შენ, ბიძაჩემს ადამა ჯობაძეს და შენ შვილს პეტრეს და კიკოლას. ასრე რომ დამჭირდა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მიწა თქვენგან ნარგები ორკოზედ. აქეთ ნებიერიძი[ს] მიწის მიდგმამდინ, იქით ჩვენის სახლის კაცების-ბეჟანას და პატას მიწის მიდგმამდინ“. მომდინარეობს ოროკოდან, რაც სულხან-საბას მიხედვით არის ,,მიწა ბაქან - ბაქანად მოვაკებული“.

პაპას წყაროები - ადგ., წყაროები დიდ ბეკამში სამხრეთის მხარეს. კიკაძე ალექსი იყო, რომლის მიერ გაკეთებული იყო წყარო”.

პატარა ბეკამი – იგივეა რაც გაღმა ბეკამი

პატარა ბეკმის გზა – გზა პატარა ბეკამში

პეტროზაული - ადგ; სახნავი, სათესი. ფიქსირდება 1785 წლის 16 მარტის საბუთში, როგორც სართუმელის მიწის ,,მეორე“ გვერდის საზღვარი. ამას გარდა, ლეკვია ტაბატაძემ აბაშიძე ქაიხოსროს იქვე მიჰყიდა ,,...პეტროზაული ორის დღის მიწა, თავს ისევ ბეჟანასა და იესეს მათიასშვილის მიწის მიდგმამდინ, ბოლოს ისევ აბაშიძიენთ მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ნაცვლისშვილის მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი წვერიანასშვილის ბერიკელას მიწის მიდგმამდინ“.

სათივეები - ადგ;

სავანეთი წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი დიდ ბეკამში

სართუმელი - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1785 წლის 16 მარტის საბუთში. ლეკვია ტაბატაძემ აბაშიძე ქაიხოსროს ბეკამში, მეგოდრიულში მიჰყიდა ორი დღის მიწა, რომლის ,,თავი“ ესაზღვრებოდა ,,ალეწიძის სართუმელის მიწას“.

საჩალეები - ადგ.

სინკას მიწები - ადგ., სახნავი დიდ ბეკამში.

სინკას ნერგები – ადგ., ტყე დიდ ბეკამში.

სკოლის უბანი - ადგ; უბანი.

სუთიაშვილის ვენახი - ადგილი. იხ. ნაზრუევი.

სუფთა მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,სუფთა ადგილი იყო”.

ტაბატაძის ვენახი – ადგ; ვენახი. დაფისირებულია 1785 წლის 14 მარტის საბუთში. ,,...ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბეკმელმა მათიასაშვილმა ბერმა და სვილმა ჩემა ივანემა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, სურამელსა საქისასაშვილსა ფარსადანსა და ძმასა თქვენსა ბაღდასარსა და ქაიხოსროსა დაზურაბასა და შვილსა თქვენსა სარქისასა დაიოანესა და მოსესასა და მელქუასა და მამავალსა სახლისა თქვენისასა. ასე და ამა პირსა ზედა, რომე მას ჟამსა ოდენსა დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი სამკვიდრო ვენახი. იქითჩემისა განაყოფისა ბეჟანისა ვენახის მიდგმამდინა, იქითა გვერდითა ტაბატაძისა ვენახისა მიდგმამდინა და ბოლოსა რასცა ბეჟანის იფნები გამოიტანს, იქამდინა. ზეით ჩემისა ვენახისა მიდგმამდინა”.

ამავე საბუთში სხვაგანაც დასტურდება ტაბატაძის ვენახი: ,,...მოგყიდეთ ვენახის ბოლოსა, რომ სანაპირო იყო, ქვეით ტაბატაძის ვენახისა მიდგმამდინ, იქით გიორგის ვენახის მიდგმამდინ“ (იქვე).

ტეძრის ღელე - ღელე დიდ ბეკამში დასავლეთის მახრეს.

ტილიანა – მდინარე

ტყისპირები - ადგ;

ფიჭვნარი - ადგ., ტყე დიდ ბეკამში

ფშანი - ადგ., მინდორი, საძოვარი დიდ ბეკამში. დაფიქსირებულია 1785 წლის 8 აპრილის საბუთში. კერძოდ, ბეკმელი ბეჟია მათიაშვილის მიერ სვიმონ აბაშიძისათვის მყიდული ,,წყაროსთან გაღმა ვენახის“ საზღვარი არის ,,ბოლოს ფშნამდინ“.

ფშანი სულხან - საბას მიხედვით არის ,,მრავალ-ფშა“. ფშას კი ასეთი განმარტება აქვს: ,,მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილ(ნ)ი, ფშანი არიან მდინარეთაგან მუნვე ახლო წყაროდ გამოდენილნი“.

,,უკეთუ მდინარისა მახლობელად, მისგანვე გამოდიან წყარონი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფშად“.

ღამბაშიძეების უბანი - ადგ; უბანი დიდ ბეკამში

ღელეები - ადგ; ,,ღელედ ითქმის ხევი მცირე“ .

ღვინიაური - ადგ; სახნავი, სათესი, ვენახი. 1584 წელს გიორგი ბატონიშვილმა იტრიის ეკლესიას გვერდისუბანში შეწირა ,,...კიდევ გვერდისუბანს შიშნიაშვილი ბეჟიტა და მისნი შვილნი ღვინიაურის მამულითა...“.

1785 წლის 16 მარტს აბაშიძე ქაიხოსროს ლეკვია ტაბატაძემ მიჰყიდა ბეკამს ,,...ნასყიდი ვენახი ღვინიაური. თავს... სარქისასშვილი სარქისას ვენახის მიდგმამდინ, ბოლოს ორკამდინ, ერთი გვერდი კიდევ სარქისასშვილის ვენახის მიდგმამდი, მეორე გვერდი ბაქრაძე გოგიას მიწის მიდგმამდინ“.

ქურდაძეების უბანი - ადგ; უბანი

ქარსაცავი - ადგ;

ყველიჭამია - ადგ., სახნავი, საძოვარი სამხრეთის მახრეს. ,,ბავშვები ყოფილიყვნენ წასული მწყემსებად. ყველი ჰქონიათ წაღებული შეუნახავი. რომ მისულან, აღარ დახვედრიათ”.

შოლა – მდინარე დიდ ბეკამში. ფიქსირდება 1785 წლის 16 მარტის საბუთში. ლეკვია ტაბატაძემ ,,შოლის გაღმა“ სამი ღის მიწა მიჰყიდა აბაშიძე ქაიხოსროს: ,,ამას გრდა კიდევ მოგყიდე შოლის გაღმა ვარდიასშვილისეული სამის დღის მიწა, თავს ხეროდინასშვილის სოლომანის მიწის მიდგმამდინ, ბოლოს გიორგასშვილი გელიას მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ბერია მამასახლისის მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ბეშკენასშვილის მიწის მიდგმამდინ“.

შოლისპირები – ადგ., სახნავი, საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,მდინარე ჩამოდის და ამიტომ ვეძახით“.

ცივწყაროს მინდორი – ადგ., მინდორი, საძოვარი დიდ ბეკამში.

ცხრაწყაროები - იგივეა რაც ბეკმის ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ცხრაწყაროს აუზების წყალი - წყარო დიდ ბეკამში

ძველახოები - ადგ., სანავი, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს.

ძირები – ადგ., სათიბი დიდ და პატარა ბეკამში

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დავით რობაქიძე - ადამიანი, რომლის უმთავრესი საზრუნავი ცხოველთა დაცვაა

იბადებიან ადამიანები სიკეთის კეთების განსაკუთრებული ნიჭით, გაუცნობიერებლად, შინაგანი მდგომარეობით. ჩემი რესპონდენტი ვეტერინარი დავით რობაქიძეა-ბიჭი ოქროს გულით და ხელებით-ასე ვიცნობთ-21 წლისაა და ბევრ ცხოველთამოყვარულს, იმედად მოევლინა. აღმოჩნდა, რომ ოჯახური ტრადიციის უნებლიე გამგრძელებელია, სხვა სპეციალობიდან, ცხოველების სიყვარულმა და მათზე ზრუნვამ, ვეტერინარიამდე მოიყვანა და დღეს, ყველგან ნახავთ, სადაც ჭირდებათ, ქუჩაში, კლინიკაში, ადგილზე გამოძახებით. განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩევა, ეუხერხულება კიდეც, იმ სიკეთეებზე საუბარი, რომელიც მისი ბუნების და საქმიანობის თანმდევია. წელიწადნახევარია, წინააღმდეგობების მიუხედავად, ვეტერინარული კლინიკა აქვს. დამეთანხმებით, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, უფრო ახლოს იცნობდეს ვეტერინარ-ტექნიკოს დავით რობაქიძეს, ბიჭს, იმედს

-ვეტერინარიაში რამდენიმე საფეხური არსებობს, შეიძლება იყო ვეტერინარის ასისტენტი, ვეტერინარი ტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი-ახლა ვარ ვეტერინარი ტექნიკოსი, რადგან ჩემი ასაკი ამ ეტაპზე მეტის შესაძლებლობას არ მაძლევს, თუმცა, პარალელურად, ვსწავლობ ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, რომლის დამთავრების შემდეგ, უკვე ფართო პროფილის ექიმი ვეტერინარი ვიქნები.

-არაა გასაკვირი, სამომავლო პროფესიად ვეტერინარიის არჩევა, დედა დღემდე ამ საქმითაა დაკავებული და ოჯახური გამოცდილებები, ალბათ ახდენს გავლენას.

-უცნაური ხასიათი მაქვს, როცა რაღაცას მირჩევენ, რომც ვეთანხმებოდე, აუცილებლად მაინც სხვა მიმართულებით წავალ. ასე იყო პროფესიის არჩევის დროსაც. სკოლის ბოლო წლებში, ჩემი ოჯახის დიდი სურვილი იყო, მეც ვეტერინარიის გზით წავსულიყავი, რადგან დედა ვეტერინარია და ეს გამოცდილება ოჯახში უკვე იყო, მისი სანათესაოს მხრიდანაც. იმ პერიოდში, ძალიან გამიტაცა ქიმიამ, მინდოდა, ბოლო კურსიდან სასამართლოს დამხმარე ექსპერტი გამოვსულიყავი, აქაც წინააღმდეგობის მიუხედავად, ქიმიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ამ პერიოდში, ხაშურში, ფაქტობრივად, არ იყო არც ერთი ვეტერინარული კლინიკა, სადაც ძაღლს ან კატას აღმოუჩენდნენ სამედიცინო დახმარებას. იყო მხოლოდ ვეტ. აფთიაქი, რომლის დანიშნულებაა, უკვე ვეტერინარის მიერ დანიშნული მედიკამენტის გაცემა.

-ვეტერინარია როდის იქცა მთავარ საქმედ?

-ქიმიის ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად, ვეხმარებოდი მიუსაფარ ცხოველებს და ვსწავლობდი შესაბამის სამედიცინო მანიპულაციებს, მათ დასახმარებლად. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ძალიან მაღელვებდა ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობა. იმისმა გააზრებამ, რომ შემეძლო მათი იმედი გავმხდარიყავი, მომცა უდიდესი მოტივაცია და შემაცვლევინა ჩემი პირველადი არჩევანი-სიკეთის კეთება, უდიდესი მოტივაციაა-სხვა რა უნდა გინდოდეს ადამიანს, როცა შენი საქმით სიკვდილს ებრძვი და ამარცხებ და ამას აკეთებ იმ ცხოველისთვის, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობაც, სულ რაღაც 15 წელია.

ერთი წლის შემდეგ, ქიმიის ფაკულტეტზე შევაჩერე სწავლა და გადავედი ვეტერინარიის სასერტიფიკატო პროგრამაზე გორში, შემდეგ აგრარულ უნივერსიტეტში წვრილ ცხოველთა სასერტიფიკატო პროგრამა გავიარე და იქვე დავიწყე მუშაობა. პარალელურად, ვმუშაობდი ხაშურშიც და თბილისშიც.

-კლინიკის გახსნის აუცილებლობამდე როგორ მიხვედი?

-კლინიკის გახსნა მარტივად არ მომხდარა. თავდაპირველად, მხოლოდ ჩემი და იყო მხარდამჭერი. კლინიკა სხვა საფეხურია, მეტი რესურსი ჭირდება, ბევრი დოკუმენტაციაა გასავლელი, სამედიცინო აღჭურვილობა და ასე შემდეგ. ძალიან მოტივირებული ვიყავი, ფართი რომ გამოჩნდა, ხუთი თვე ვიხდიდი ქირას, რომ არ გაექირავებინათ. იმ ეტაპზე, არ მქონდა იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ კლინიკა გამეკეთებინა. ამის შემდეგ დავიწყე უკვე ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც ვეტერინარულ კლინიკას მოეთხოვება. გახნის დღიდანვე გვყავდა პაციენტები, რადგან უკვე მიცნობდნენ, იცოდნენ, მე ვინ ვიყავი, დედა ვინ იყო და გულწრფელად ვამბობ, რომ ამ კლინიკის გახსნა, არ იყო ჩემი მხრიდან ბიზნესის გათვლა.

- მოსახლების დამოკიდებულება როგორია ცხოველების მიმართ, რამდენად ხშირად მოგმართავენ?

-რადგან ყველა მეორე ოჯახში რომელიმე ცხოველია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უყვართ ცხოველები, უბრალოდ, არ იციან, რომ ეს ცალკე პასუხისმგებლობაა და განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება ჭირდება. ამ ბოლო დროს, მიდგომა ცოტა შეიცვალა, უფრო მეტად ზრუნავენ და მოგვმართავენ კიდეც. ზოგი, პირდაპირ მედიკამენტისთვის მოდის, ზოგი თანხმდება, რომ გარკვეული კვლევები გაიაროს მისმა ძაღლმა. კონსულტაციის თანხას, ფაქტობრივად, არ ვიღებ, და როცა ხედავენ, ცხოველის მეპატრონეები, როგორ ვთავაზობ, უსასყიდლოდ მომსახურებას და დახმარებას, ნდობა უჩნდებათ.

-რა მანიპულაციები კეთდება თქვენს კლინიკაში, რა სერვისს იღებს თქვენამდე მოსული ცხოველი?

-პირველი, ესაა საპროფილაქტიკო ღონისძიებები, ჭიებზე და ჰელმინთებზე დამუშავება , მათ შორის პატრონისთვისაც. ვაქცინაცია, როგორც ცოფის, ისე კომბინირებული, სოკოვან დაავადებებზე ვაქცინაცია, გეგმიური ანალიზი, ბიოქიმიური ანალიზები, ჰორმონული ანალიზები. ძალიან რთული იყო, პატრონი დაგვერწმუნებინა ანალიზების აუცილებლობაში, გვაქვს ორ ლაბორატორიასთან ურთიერთობა, სადაც ეს პროცედურები კეთდება. ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის ანალიზის გაკეთება, რაც გვაძლევს ინფორმაციას ავადობებზე, ასევე, პატრონის ჩართულობა ანამნეზის შესაკრებად, რადგან ძაღლს არ აქვს იმის უნარი, გვითხრას, რა აწუხებს.

-ყველაზე გავრცელებული ავადობები რომელია ჩვენს რაიონში?

-ხაშურში, ყველაზე გავრცელებულია ხორცისმჭამელთა ჭირი, მინდა გითხრათ, რომ ადამიანები არ ინფიცირდებიან ან ვირუსით და მეორე ესაა პარვო ვირუსი. ორივე, ვირუსულ დაავადებებს შორის, მაღალი სიკვდილიანობით ხასიათდება, ცოფის ვირუსის შემდეგ, თუმცა, ჩვენდა სასიხარულოდ, ხაშურში ცოფის ვირუსი, წლებია არ დაფიქსირებულა, როცა 1996 წელს, 5-6 ადამიანი გარდაიცვალა.

-ოპერაციული ჩარევები თუ კეთდება თქვენს კლინიკაში?

-ჩვენს კლინიკაში ტარდებოდა გეგმიური ქირურგიული მანიპულაციები-სტერილიზაცია და კასტრაცია, რომელსაც ატარებდა მოწვეული ქირურგი. დღეს ეს სერვისი აღარ გვაქვს, მაგრამ გადაუდებელი ტრავმატოლოგიური ოპერაციები ისევ ტარდება, რომელსაც მე და დედა ვაკეთებთ. სამწუხაროდ, სანამ სამაგისტრო პროგრამას არ დავხურავ, არ მაქვს უფლება ისეთი ოპერაციების ჩატარების, რომლებიც მუცლის ღრუზე ან რბილ ქსოვილებზე კეთდება.

- თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?

- ვეტერინარია ახლა მთელი ჩემი ცხოვრებაა, მთავარი საქმე, რომელიც აღარც დასვენების დროს მიტოვებს და აღარც გართობის. ორი საქმეა სულ ჩემს ცხოვრებაში, რომელიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს-ან კლინიკაში ვარ და ცხოველებს ვეხმარები, ან ქუჩაში ვეხმარები. მეორე საქმე, გალობის შესწავლაა, ორი გუნდის რეგენტი ვარ და როგორც ბავშვებს, ისე ზრდასრულებს ვასწავლი გალობას.

- მიუსაფარი ძაღლებიც არიან თქვენი პაციენტები?

-უმეტესწილად, მირჩევნია უპატრონო ძაღლებს დავეხმარო. ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ ძაღლებს ადამიანებზე მეტი უფლებები აქვთ და რეალურად, მათი ცხოვრება ქუჩაში, გაუსაძლისია, ყოველდღიურად დიდი საფრთხის ქვეშ არიან, საჭმლის და ელემენტარული პირობების გარეშე.

-დამეთანხმები, ქუჩები გაივსო მიუსაფარი ძაღლებით და მოსახლეობისთვის ერთგვარ დისკო-მფორტს წარმოადგენენ. როგორც ვეტერინარი, რაში ხედავ პრობლემიდან გამოსავალს?

- გამოსავალი მასიურ სტერილიზაცია კასტრაციაა, ესაა ყველაზე ჰუმანური გამოსავალი-გამრავლების შეზღუდვა, რადგამ მათი გამრავლება, მათთვის და მათი შთამომავლობისთვის უკვე ფიზიკურ საფრთხეს წარმოადგენს. კანონმა უნდა დაარეგულიროს, მხოლოდ იმ ადამიანებს მიეცეთ ცხოველის ყოლის უფლება, რომელსაც შესაბამისი პირობები აქვთ და შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება ცოცხალ არსებაზე და მას ქუჩისთვის არ გაწირავს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა, როგორც ფიზიკური, ისე მატერიალური კუთხითაც. პირველი-მასიური კასტრაცია-სტერილიზაცია, მეორე-კანონის დონეზე გაწერილი რეგულაციები-ძაღლის ყოლასთან დაკავშირებით და მესამე, საგანმანათლებლო ჩართულობა-თუნდაც სასკოლო დონეზე ცნობიერების ამაღლება. როცა ხედავ ქუჩაში აუცრელ ძაღლს, უნდა გამოიჩინო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, დაურეკო შესაბამის სამსახურებს, რომ აცრან, სტერილიზაცია ჩაატარონ, ამით შეამცირებ პოპულაციას და პრობლემა მოგვარდება ნელ-ნელა. როცა ცხოველთა დამცველებს ადანაშაულებენ ცხოველების დაცვაში, მათ ყველაზე ნაკლებად უნდათ, რომელიმე ძაღლი რომ ქუჩაში ცხოვრობდეს და საფრთხეს ქმნიდეს, აქ, ყველას პასუხისმგებლობა თანაბრადაა.-ყოველთვის მინდოდა ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომელსაც დახმარების გაწევა შეეძლება, ცხოველებისთვის, ადამიანებისთვის. ვფიქრობ, ხაშურში მიუსაფარ ცხოველთა დახმარების ცენტრის შექმნას, სადაც მათ უფასოდ დავეხმარებით და მეტი ბერკეტი მექნება ამისთვის. მიუხედავად იმის, რომ კლინიკა მაქვს, მაინც ქუჩაში მიწევს ამ ძაღლებისთვის დახმარების აღმოჩენა, რადგან იმ ადამიანებს, რომლებსაც ძაღლები უყვართ და გული შეტკივათ, არ აქვთ ხოლმე შესაბამისი რესურსი მათ დასახმარებლად. ეს ორგანიზაცია, მომცემს საშუალებას, მაქსიმალურად შევძლო მეტი ცხოველის გადარჩენა და ამაში ბევრი ადამიანების ჩართვა. ასევე, მინდა დავიწყო ტრენინგები ცხოველთა მოყვარულებისთვის, როგორ გავუწიოთ პირველადი დახმარება, არ მაქვს იმის ფუფუნება, ყველა შემთხვევის ადგილზე შევძლო მისვლა. ეს ტრენინგები, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მეტი დაუცველი სიცოცხლე გადავარჩინოთ.

თ. ჯავახიშვილი

ხათუნა ორჯონიკიძე - ქალბატონი, რომელმაც თავისი ცხოვრება ყვავილებს და მცენარეებს მიუძღვნა

ჩვენს ქალაქში, ერთ ქუჩაზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთის მეზობლად, ორმა ქალბატონმა ნამდვილი სამოთხე შექმნა, დღესასწაული მოაწყო ფერადი და ულამაზესი ყვავილებისაგან. ერთ მათგანზე „ხაშურის მოამბის“ გასულ ნომრებში გიყვებოდით. დღეს კი მეორე მათგანი, ფლორისტი, ხათუნა ორჯონიკიძე გვინდა გავაცნოთ მკითხველს.

გამარჯობა, მე ვარ ხათუნა ორჯონიკიძე 50 წლის, ფლორისტი. ჩემი ცხოვრების 29 წელი მივუძღვენი მცენარეებსა და ყვავილებს. მცენარეების მიმართ ინტერესი დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ როგორც მცირე ბიზნესი, მას შემდეგ ვაქციე, რაც ოჯახი შევქმენი. ჩემი დედამთილი აჭარიდან მიგზავნიდა იმ დროისთვის იშვიათ და უცხო ჯიშის მცენარეებს და ყვავილებს. მისი და ჩემი ინტერესები თანხვედრაში იყო.

- სად შეიძლება თქვენი ყვავილების ნახვა, რა არჩევანს სთავაზობთ მომხმარებელს?

- ჩვენი ყვავილების დათვალიერება შესაძლებელია ჩვენს Facebook - გვერდზე Khatuna's Flowers და, რა თქმა უნდა, ჩვენს გარდენიაში, ხაშურში, მაისის ქუჩაზე მომხმარებელს ვთავაზობთ ყველა სახეობის მცენარეებს როგორებიცაა: ყინვაგამძლე მარადმწვანე მცენარეები, წიწვოვნები (ყველა სახეობის და მათ შორის იშვიათის ჯიშის ნაძვები), საოფისე და ოთახის მცენარეები, მრავალწლიანი ყინვაგამძლე ყვავილები, ვარდების, როგორც უძველესი, ასევე საკოლექციო ჯიშები, ფორმირებული მარადმწვანეები და ბონსაები, რომელიც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მასშტაბით. მცენარეები გვაქვს საბითუმო ფასებში. ჩვენ მომხმარებელს, გამოცდილებიდან გამომდინარე, ვთავაზობთ ისეთ მცენარეებს, რომლებიც მარტივად ეგუებიან ჩვენი რაიონის ცივ კლიმატს. ეს ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი და უმთავრესი ფაქტორია, რომ მომხმარებელი მაქსიმალურად კმაყოფილი დარჩეს.

- რომელ ქალაქებსა და რაიონებში ხდება თქვენი პროდუქციის რეალიზაცია და მიწოდება?

- ჩვენი პროდუქცია ყველა ქალაქსა თუ რაიონში არის ხელმისაწვდომი. ნებისმიერ წერტილში შეგვიძლია მისი მიწოდება. ადგილობრივ მომხმარებლებს ვთავაზობთ ადგილზე მიწოდების სერვისს, ვუზიარებთ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას ამა თუ იმ მცენარის მოვლის შესახებ, რადგან, მცენარის შეძენის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი მისი მოვლაა. ამას კი გარკვეული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. 29 წლის განმავლობაში გაიზარდა მომხმარებლის მოთხოვნა, დაიხვეწა და უფრო მრავალფეროვანიც გახდა ყვავილების არჩევანი.

- ქალბატონო ხათუნა, კონკურენციის პირობებში, რა გამოარჩევს თქვენს „გარდენიას“?

- ვფიქრობ, ეს არის ჩვენი „გარდენიის“ გვერდი სოციალური ქსელში, სადაც განთავსებული გვაქვს ყველა მცენარის ფოტო. მომხმარებელს შეუძლია დაათვალიეროს და იქვე გააკეთოს არჩევანი. გვყავს ერთგული, გემოვნებიანი და აქტიური მომხმარებლები, რომლებსაც მინდა საჯაროდ

გადავუხადო უღრმესი მადლობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, არა მარტო ხაშურში, არამედ საქართველოს ბაზარზე მომხმარებლებს ვთავაზობთ ყველაზე კონკურენტუნარიან ფასებს, რომელიც ხშირად მომხამრებლის გაოცებასა და სიხარულს იწვევს.

- დამატებით კიდევ რა ტიპის მომსახურებას სთავაზობს Khatunas Flower's - ი მომხმარებელს?

ჩვენ ვმუშაობთ ლანშაპტის დიზაინზე და ისეთი ტიპის სამუშაოებზე, როგორიც არის ეზოს მოვლა, გასხვლა, შეწამვლა და აშ.

- რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ, რა სიახლეებს სთავაზობთ მომხმარებელს?

- რამოდენიმე სიახლეს სიუპრიზად დავუტოვებთ ჩვენს ერთგულ მომხამრებელს, მაგრამ ერთს რასაც გაგანდობთ არის ის, რომ ძალიან მალე, გვექნება ჩვენი ოფიციალური ვებსაიტი, სადაც როგორც ონლაინ მცენარის შეძენასა და გადახდას შეძლებს მომხარებელი, ასევე ყველა მცენარის შესახებ მიიღებს ინფორმაციას და ცოდნას, რაც მისი მოვლისა თუ ჯანსაღად გაზრდისთვის არის საჭირო.

წარმატებებს ვუსურვებთ ფლორისტ ქალბატონს.

თ. ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.